სასოფლო გაზეთი

პირველი წელიწადი

გაზეთის ფასი:

	ბაგზავნით ტფილისში		ბაგზავნელათ.
	ოგორ გარეშე ადგილებში:		მან.
	ერთის წლისა —	7 მან.	— 6
	ექვსის წლისა —	4 —	— 3 — 50 კ.
	სამ ს თვისა —	2 მ. 50 კ.	— 2 —

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და ქამბ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ამოდის სამშაბათობით.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და ქამბ. სტამბაში.

№ 21. სამშაბათი. I. 23 ივლისს 1868 წ.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: განცხადება.—რუსეთის ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წესები.—„დროების“ კორრესპონდენცია.—აბრეშუმის ჭიის აღთმყოფობაზე გამოძიება.—საოჯახო ცნობები.—საქონლის ჯიშის გაუკეთესება.—ავაზაკი ხოზე.—სახაზინო განცხადება.—არითმეტიკა.—რუსეთის ამბავი.

ოფიციალური ნაწილი.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Тифлисское Уѣздное Управленіе объявляетъ, что Господинъ Тифлисскій Губернаторъ предписаніемъ отъ 31 Мая за № 4068 предложилъ къ оглашенію выборовъ на сельскія должности лицъ по Тифлисскому Уѣзду на новое съ 1869 года трехъ-лѣтіе, приступить съ начала осени сего года и таковыя окончить скорѣе и выборные листы представить къ нему непременно къ 1-му ноября, что и будетъ исполнено со стороны Уѣзднаго Управленія. Іюня 26 дня 1868 г.

Тифлисскій Уѣздный Начальникъ

Кн. Тумановъ.

განცხადება.

ტფილისის უეზდის სამმართველო აცხადებს, რომ უფალმა ტფილისის ბუბერნატორმა მისის 31 მოიწერა, რომ მომავალი სამი წლისათვის 1869—დგან სოფლის მოხელეების ამორჩევა გამოცხადდეს, დაიწყოს ამ წელს შემოდგომაზე და მალე გათავდეს; ამორჩევის ფურცლები უეჭველათ გიორგობისთვის დამდეგამდის (პირველამდის) ბუბერნატორთან წარედგინოს. ეს ყოველი ასრულდება უეზდის სამმართველოსაგან. თებათვის 26, 1868 წ. ტფილისის უეზდის ნაჩალნიკი თ. თუმანოვი.

რუსეთის ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წესები.

დამტკიცებულნი შინა-საქმეთ სამინისტროსაგან.

1. აღიკრძალების იმისთანა საქონლის ხმარება, რომელთაც ავადმყოფობა ეტყობათ, რამე ასო აქვსთ წამხდარი, იარეები აქვსთ ან კოჭლობენ.

2. ნება არა აქვს არავის სცემოს საქონელს ხმელი ან მწვეტი რამით (კეტით, ჯოხით და სხვ.), ხოლო თავში და მუცელში ცემა სრულებით აღიკრძალება.

3. აღიკრძალების ურმის ან პოსკის ძალიან დაბარგება, რომელიც აშკარად ეტყობა, რომ არ შეჰფერის საქონლის ღონესა და გზის მდგომარეობას (სიცუდეს და სხვ.).

4. არავის არ მიეცემა იმისი ნება, რომ ურმით ან პოსკით, გინდ ცარიელი იყოს, გინდ დაბარგებული, ქალაქის ქუჩებზე ჭენებით იაროს, უმეტესად თუ მძიმეთაც არის დაბარგებული.

5. აღიკრძალების ცხენის გამობმა დაბარგებულ ურემსა ან პოსკას უკან. იმ შემთხვევაში, თუ ურემში ან პოსკაში შებმული საქონელი ძლივსა ჰზიდავს თავის ბარგსა.

6. ნება არა აქვს არავის, რომ ხბორები ან სხვა წვრილი რამე საქონელი წვალებით მიჰყვანდეს სადმე, ესე იგი ურემზე ან პოსკაზე და ცხენებზედაც ისე არ უნდა დაკრან წვრილი საქონელი, რომ ერთმანეთზე იყენენ მიტყუებულნი, აგრეთვე თავი დაკიდული არ უნდა ჰქონდეთ და სიარულის დროს თავს არ უნდა ახლიდნენ რასმეს; ამასთან მეურმეს ან მეპაეოსკეს არა აქვს ნება ურემზე ან პოსკაზე დაწყობილ ხბორებს ან სხვა საქონელს ზედ დაჯდეს.

7. შებმული ცხენი ან სხვა საქონელი რომ წაიქცეს, აღიკრძალების მათრახით ან სახრით იმისი აყენება; მაშინ უნდა ეცადნენ, რომ ხელით აყენონ, და თუ ხელით ვერ ააყენეს—უთუოდ უნდა გამოუშვან და ისე ააყენონ.

8. საზოგადოდ აღიკრძალების ყველა გვარი წვალება ცხოველთა, რომელიც უნდა იყოს, ან იმათი სასტიკად მოპყრობა.

ყველა პოლიციის მსახურთ ეალად ადევსთ ბეჯითი ყურადღება იქონიონ ამ ზემო აღნიშნული წესების აღსრულებაზე და სრული შემწეობა აღმოუჩინონ ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წევრთა ამ წესების დამრღვევთ წინააღმდეგ.

ვინც ამ წესებს დაარღვევს ის უნდა შეიპყრან და წარადგინონ პოლიციაში, სადაც მოეპყრობიან იმას დასჯაზე წესდებათ 29 მუ-

ხლის ძალით, რომელსაც განუჩინებენ მომრიგებელნი მოსამართლენი.

„დროების“ კორრესპონდენცია.

შაბათს დღეს, 22 ამ თიბათვისას, სოფელს ხიდისთავს მცხოვრებელნი მოუთმენლად მოელოდნენ დიდებულთა მგზავრებს და ყოველისული კაცი და დედაკაცი დიდი სურვილით ემზადებოდნენ მათს ნახვას; ამის გამო ამ სოფლის სასამართლო და სასწავლებელი შკოლა შიგნით და გარეთ გზის პირზე იყო მორთული საამურად დიდროვანი ფოთლიანი ხეების შტოებით და ზედ შესხმულის ეარდებითა და ყვავილებითა, აქვე იდგნენ გამწკრივებულნი ორმოცი შეგირდები ექვსის წლიდგან ათ წლამდე, გლეხის შვილები, ამათთან მთელი სოფლის გლეხკაცობა, ჭაბუკნი და მოხუცებულნი, ბანებიდამ ქალები და დედაკაცები გამოსცქეროდნენ.

იქმნებოდა პირველი საათი დღისა, რომ მობრძანდნენ მათი შმაღლესობა დიდი მთავრები: ალექსი ალექსანდრეს ძე და ნამსტნიკი მიხეილ ნიკოლოზის ძე ერთად მსხდომნი ეკიპაჟით, ისინი შესდგნენ ხალხს წინ შკოლის პირდაპირ ღიმილით და ხალხმა განაგრძელა ხმა მაღლა ურა! . . . ამ დროს სოფლის სუდია (მოსამართლე) ივანე აბერიაშვილი წადგა წინ, მიართო პური და მარილი ფოდნოსზე დალაგებული მრავალ გვარის ყვავილების თაიგულითა და მოახსენა ამანვე გრძნობით: „ქეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ღმერთსა ვთხოეთ თქვენს მრავალჟამიერს ბედნიერებით სიცოცხლეს ჩვენდა მოწყალეთ, ღმერთმან განაძლიეროს თქვენი მეფობა ქვეყანაზე ჩვენს მფარველად და ნუგეშად.“

დიდმა მთავარმა ალექსი ალესანდრეს ძემ მოსტეხა პურს, მცირედ დაწო იგი მარილს და მიირთვა, შემდგომ უბრძანეს ორთავ ღიმილით მადლობა ჯერ რუსულად მერე ქართულად „მადლობელი, მადლობელი.“ შეიქმნა ერთობ მხიარულება დიდი ხალხში და ყვირილი ურაა!..... ამ ყვირილზე პატარა შეგირდების ცეკვამ დიდათ ასიამოვნა ისინი და ესრედ მხიარულთა განაგრძელეს მგზავრობა, ხალხი დამტკბარი ამ შემთხვევით წავიდ-წამოვიდა და მალე გაჩნდა დუქნებში ჩვეულებრივი სმა და შექცევა სიმღერით, სადაც ისმოდა გრძლად საამურის ხმით სიტყვები ესე:

ვის მოველოდით მობრძანდა,
შენ გულო გამხიარულდი,
ბულო ძალგულო, ერთგულო,
ვის შესტრფი, მასვე მონებდე.

ხიდისთავში მცხოვრებელნი ირიცხებიან უკანასკნელი კამერალიის აღწერით სახელმწიფო გლეხნი ოთხმოცდა რვა კვამლი, საეკლესიონი ოცდა ჩვიდმეტი, ახლად განთავისუფლებულნი მებატონეთაგან ოცდა ექვსი; სულ ას ორმოცდა თერთმეტი კვამლი. ამათი გარდასახადი საკვამლო ფოშტის ფული, ანუ ზემსკის პოვინოსტი, ეგრეთვე ეტაპის ურმებისა და გზის ურმებისა მოკრეფილა წარსულს 1867-ს წლისა ბორის უეზდის ხაზინაში შესატანად ას ორმოცდა შვიდი თუმანი სამი მანეთი და ხუთი შაური, როგორც სჩანს ეს რიცხვი და რაოდენობა ხაზინისაგან მიცემუსლი კვიტანციებიდამ და კაზონის პალატისაგან დარიგებულის ოკლადნის ლისტიდამ, ანუ წლის ხარჯის ქაღალდის ფურცლიდამ, ამაში სწერია ესრედ: „ხიდისთავში: სახელმწიფო გლეხნი 88 კვამლი, ამათი გარდასახადი ამ წლისა 1034 მან. საეკლესიონი 37. ამათი გარდასახადი 286 მან. 75 კაპ.; ახლად განთავისუფლებულნი 26. ამათი გარდასახადი 152 მან. 50 კაპ.; სულ 1473 ან 25 კაპ. ამ ფულში არის შერიცხული ეტაპის სახლებისა, ურმების შესანახავათაო კვამლზე 78 კაპეიკი მოკრეფილი და გზების მუშებისათვის კვამლზედ 72 კაპეიკო. ბარდა ამისა ლაღოდაღის მილიციისათვის მოკრეფილა ექვსი თუმანი, გასულა ურმების ბეგარა და თავ კაცათ მუშა სხვა და სხვა საჭიროებისათვის ფასით და უფასოთ უანგარაშოთ.

ამ სოფელშია ორი შტატის ეკლესია მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა, ორი შტატის მღვდელნი აქაური მცხოვრებელნიც თავიან პრიჩეტნიკებით და მთავერით, აქვე სცხოვრებენ ოთხი კვამლი აზნაური შვილები მცირე მებატონენი. აქ არის ტამოჟნის პოსტი, რუსული ჩარხისა და ქართული წისქვილები ცამეტი მიკიტნის დუქნები, ერთი ფურნე, სახაბაზო, ხუთი ოტკის ზაოდი, ას ოცი დღისა მეტი ყურძნის ვენახები ხეხილიანი; აქ ღვინოები ისყიდება ტკბილი ყოველთვის ხუთ მანეთად კოკა, კიდეე მეტად და არა ნაკლებ, ეგრეთვე ღვინო ექვსიდამ ერთ თუმნამდინ; კოკას თუმცა ანგარიშობენ დაწესებულ თორმეტ თუნგსა, მაგრამ აწყევამი პირობადადებული, ზოგი აიწყავს ოც ბაზრის თუნგ ერთ კოკად.

ეს სოფელი იყო უწინ საბატონი შვილიმეფის ძის ფარნაოზის საუფლისწულო, რომგორც იტყვიან აქაურნი მოხუცნი; ახლა არიგორელების შესაქცევარი. თითქმის ყოველ შემძლებელს ბორში მცხოვრებელს დაეჭარ აქვთ აქა ნასყიდი და დაგირავებული ვენახები, შიგ მარნები და ოთახები სოფელშ ცოლშვილით დროს გასატარებლად. ჰა აქვს მრთელი; წყაროები ციკი, გემოიანი, მდ ნარე წყლები მტკვარი და ტანა კალმახიან ყოველ მხარეს სასიამოვნო მისახედ-მოსახედ აქვს. მტკვარ გაღმით ექვს ვერსზე სჩანს ისტორიული სიძველე: უფლის ციხის გამოქვაბ ლები, სადაც ყოფილა ოდესმე ძველ დრო მთელი ქალაქი უფლის ციხე, გამოკვეთილ კლდეებში, როგორც მოგვითხრობს ამ ქართლის ცხოვრება და პახუშტის ბეოგრ ფიული აღწერა; ღღესაც კი განსაცვიფრებელ სანახავია იქ დიდი დარბაზი, ანუ საერო პალ ტი მთელ კლდეში გამოკვრილი, ხელოვნები წყლის გზა, გვირაბი, ჩაკიბული და სხვა რა დენიმე სადგომები, გამოღმით სჩანან სხვა სხვა გვარი ტყით დაბურვილნი ხეობებ ციხე შენობა და ძველი ეკლესიები მთებზე ამისთვის უთქვამთ ძველად (ლეგენდა) „ხიდ თაო შემკობილო, წინ მინდორო, უკან ტყეო. ამ სოფელს ჰყოფს ორ უბნათ დიდი შარ გზა ფოშტისა და რაოდენიმე ხიდისთავის ვ ნახების ბოლო, სამხრეთის მხარეს მთის ფ რდობზე გაგრძელებულს ვენახებით ეწოდ „ოხერა“ და ჩრდილოეთის მხარეს ვენახ შუა ხიდისთავი, სადაც გაიჭრა წინ ჭალა რკინის გზა. აქაურნი მისდევენ მხლო ხენა თესვას და ვენახების მუშაობას, მამულ ზედ ვიწროთ არიან, წლის მოსავალია საშ ალო, პური და ღვინო ნაქები.

დიმ. მეღვინეთხუცესოვი.

24 ივლისს 1868.

აბრეშუმის ჭიის ავათმყოფობისთაობაზე გამოძიება.

(„ქაკაზი“ N 81)

ახლანდელი აბრეშუმის ავადმყოფობა ყვ

ლაზე პირველათ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ შენიშნეს ათას რვაას ორმოცდა შვიდს წელს. ᲭᲘᲘᲡ ავადმყოფობა თან და თან გავრცელდა და მოეფინა მთელს სახელმწიფოში. ᲛᲔᲠᲔᲡᲛᲘ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ძალიან გაძლიერებული მოყვანა აბრეშუმისა ახლა სრულებით ჩამქრალია. რაც ხუთმეტის წლის წინათ მოდიოდა, ახლა იმის მეექვსედი აბრეშუმიც აღარ მოდის. ათას რვაას სამოცდა ხუთს წელში აბრეშუმის პარკი ოთხ მილიონ კილომეტრის მეტი არ მოდიოდა. ათას რვაას ორმოცდა ცამეტს წელს კიდევ მეტი მოდიოდა? ასე რომ ოცდა ექვს მილიონ კილომეტრამდის ადიოდა. ᲭᲘᲘᲡ ავათმყოფობას ათასი მილიონი ფრანკი ზარალი მიუცია ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. მარტო ჭიის თესლის დაბარებაზე წინა წლებში დახარჯულა ოცდა ათი მილიონი ფრანკი. ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ საქონლის ქარხანებმა ძალიან აკლო კეთება აბრეშუმეულისა და ფასმაც იმდენათ იმატა. ᲐᲛᲘᲡ გამო მუშის ქირამაც ძალიან აკლო, ასე რომ ᲚᲘᲝᲜᲨᲘ, საცა უფრო ბევრი აბრეშუმის ქარხანებია, მუშები ხშირად ბუნტობდენ სამუშაო ქირის მოკლებისათვის. მთავრობა ძალიან ბევრს ცდილა ამ აბრეშუმის წარმოების ასადგენათ. მაგრამ უკანასკნელს დროდის ვერა გაუწყვია რა. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ იმპერატრიცა ᲔᲒᲔᲜᲘᲐ მფარველობს აბრეშუმეულობის კეთებას, მაგრამ ᲚᲘᲝᲜᲘᲡ ძვირფასს აბრეშუმის საქონელს მაინც აღარავინ ყიდულობს.

ᲗᲐᲕᲓᲐᲑᲐᲚᲛᲐ და მომთმენმა მეცნიერებამ, ეგონებ, ამ ბოლოს დროს ნახა ისეთი საშუალება, რომელმაც იქნება მოსპოს მაენებელი ჭიის ჭირი და აბრეშუმის კეთება იქნება იმ რიგათვე გაადიდოს ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ, როგორც წინათ ყოფილა.

აბრეშუმის ჭიის ავათ-მყოფობა ახალი ამბავი არ არის, ის წინათაც ყოფილა. ᲔᲠᲗᲛᲐ ფრანცუზის სწავლულმა ამ ავათმყოფობის ნიშანი ათას რვაას ოცდა თერამეტს წელს გამოსულს პეპელას შენიშნა. მაგრამ უწინ ეს ავათმყოფობა რაღაც მიზეზისა გამო ძალიან სუსტი იყო და ამისთვის ვერც შეემცნიათ.

აბრეშუმის მოყვანა ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ, რომ გაწვიხლოთ ძველი დროდგან მოკიდებული, ხშირად შეგეხვედება იმისთანა წლები, როცა ძალიან დიდი ზარალი მისცემია ხოლმე იმით მთელს სახელმწიფოს. ᲑᲣᲡᲚᲘ დე-სოვაჟი ამტკიცებს, რომ ათასს რვაას ორმოცდა ათს წელს ᲚᲐᲜᲒᲔᲓᲝᲙᲘᲡ მაზრის მცხოვრებლები იმდენათ გაჯავრებულნი იყვნენ აბრეშუმის ავათმყოფობისა გამო, რომ მოჰყვნენ და სულ ერთიანათ თუთის ხეების შემუსვრა უნდოდათ. ᲐᲛ მაზრის უფროსმა გამოსცა სასტიკი ბრძანება, რომ არამცა და არამც თუთის ხე აღარავინ მოსჭრასო და ძლივს იმან შეაჩერა გაბრაზებული ხალხი.

რაკი დარწმუნდნენ, რომ ჭიის ავათმყოფობა ჩამომავლობა არისო, მაშინვე დაიწყეს თესლის მოტანა იმ ქვეყნებიდგან საცა ეს ავათმყოფობა არ იყო გავრცელებული. ᲯᲔᲠ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲓᲒᲐᲜ მოჰქონდათ, შემდეგ ᲘᲡ�პᲐᲜᲘᲘᲓᲒᲐᲜ, ჩვენი ქვეყნიდგან და ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲓᲒᲐᲜ და ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲓᲒᲐᲜ. ᲣᲕᲔᲚᲐ მიხვდება თუ რა ძვირი იქნებოდა ამ გაშორებულ ქვეყნებიდგან ჭიის თესლის მოტანა და ან რამდენი წვალება უნდა. ᲐᲮᲚᲐ ერთი ᲘᲐᲪᲝᲜᲘᲘᲡ ქვეყანაა განთავისუფლებული ამა ავათმყოფობისაგან, მაგრამ ᲘᲡᲔᲪ საფიქრელი იყო, ვაი თუ არც იმ დაშორებულს ქვეყანას ასცილებოდა ჭიის-ავათმყოფობა. მართლაც სწავლულებმა რომ დაწერილებით გაარჩიეს ᲘᲐᲪᲝᲜᲘᲘᲓᲒᲐᲜ მოტანილი თესლი, დარწმუნდნენ, რომ იქაური თესლიც დაზიანებული ყოფილა, ასე რომ მეორეთ მოსავალში იაპონელი ჭიის თესლი ფრანცუზულ ჭიის თესლსავით წახდა.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ძალიან გავრცელდა აბრეშუმის კეთება, ამიტომ რომ ᲡᲐᲮᲖᲦᲕᲐᲠ გარეთლები ერთობ ბევრს აბრეშუმს ითხოვენ, როგორც პარკებათ, ისე ძაფათ. ᲐᲛᲘᲡ შესაფერათ აბრეშუმის პარკი ამ ჟამათ წინა წლებზე ათჯერ მეტი გაიქეთ იმ ქვეყნებში ჩვენი მხრიდგან.

ᲐᲗᲐᲡ რვაას ორმოცდა ათს წელს სამასი ათასი მანეთის მეტი არ გაზიდულა საზღვარს გარეთ, 1864 წელს კი 3 მილიონი მანეთის პარკი გაიტანეს. ᲐᲛᲘᲡთანავე აბრეშუმის თესლის გაყიდვამაც იმატა. ᲐᲛ ოთხის წლის წინათ სამი მილიონი მანეთის მეტის გაიყიდა. მარტო ნუხის მაზრაში ამ ორის წლის წინათ ყოველ წლობით მიდიოდა ოთხასი ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი, რომელიც რვა მილიონ მანეთზე მეტად იყიდებოდა ხოლმე. საზღვარს გარეთის მეაბრეშუმეები რომ დაეკმაყოფილებინათ, დაიწყეს იტალიიდგან მოტანილის თესლის გამოყვანა. ᲔᲛᲔᲘ არ არის, რომ იტალიელ აბრეშუმის თესლი წინათვე დაზარალებული იყო და ამის გამო ამ ორის წლის წინათ მთელს ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ჭიის ავათმყოფობა ერთბაშათ გაჩნდა და [illegible] მოეფინა. ᲘᲛ წლების ცუდს ჰავასაც, რასაკვირველია, კარგი გავლენა არ ექნებოდა. ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲡ მაზრაში, თითქმის მთელს ნუხის უეზდში და ᲯᲔᲕᲐᲜᲨᲘᲠᲘᲡ ᲭᲐᲚᲦᲔᲑᲨᲘ, ᲛᲪᲙᲠᲘᲡ ᲜᲐᲮᲘᲠᲔᲑᲖᲔ მდებარე სოფლებში და ზოგგან შემახიის უეზდშიაც ერთბაშათ მოეფინა ეს ავათ-მყოფობა. ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ თესლის ჭიები უფრო არ იხოცებოდნენ, როგორც საზღვარ გარეთისა. როგორც ᲔᲠᲝᲠᲞᲐᲨᲘ, აქაც ისე მთელს მაზრებში, საცა ჭიის ავათმყოფობა იყო მოფენილი, გამოირჩეოდნენ ზოგი ერთი ალაგები სხვებზე უფრო მაღლობი. მაგალითად ᲡᲐᲘᲜᲒᲘᲚᲝᲨᲘ, ᲔᲚᲘᲡᲝᲨᲘ, მახმედ-აღამ სრულებით მრთელი უზიანო თესლი მოიყვანა. ᲘᲡ ადგილი საკმაოთ ამაღლებულია ზღვის პირზე და მკვეთებელიც დიდს ყურადღებას აქცევდა ჭიებს, რომ წმინდათ და ფაქიზათ ყოფილიყვნენ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ჭიის ავათმყოფობა იმ ნაირია, როგორც ᲔᲠᲝᲠᲞᲐᲨᲘ. ᲐᲛᲐᲡ ეძახიან გატტინას. ᲗᲔᲡᲚᲘ ძალიან გალაყებულია. ᲖᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ თესლში რომ ნახევარ გირვანქა ჭია გამოვიდეს ისიც დიდია.

ᲧᲝᲕᲔᲚ კანის გამოცვლაზე ჭიები თან და თან იხოცებიან; კანის გამოცვლის შემდეგ ჭიას მადა არა აქვს; მესამე კანის გამოცვლაზე მაინც მომეტებულათ იხოცება: ჭიები ყოველ დღე სიდღებიან, ტანი რაღაც ყვითელი სითხით აევსებათ, გეგონებათ, თითქოს სიყვითლე დამართვიაო. ᲭᲘᲘ დაზანტებულია, უსიცოცხლო და მოუძლურებული, ისე რომ მეტი აღარ შეეძლება. ᲐᲛᲘᲡთანა ჭიები ცოცხზე აღარ ადიან და იქვე თუთის ღერებზე იხოცებიან; ზოგი აცოცდებოდნენ და ღონე რომ აღარ ჰქონდათ, ჩამოვარდებოდნენ. რომელიც ავათმყოფი იყო, თხელს და გამოუდეგარს პარკს იკეთებდა ზოგი თვითონვე პარკში გამოიხრჩობოდა და იმას შავი სითხით გაევსებდა; ამისთანა პარკი ამოსახვევათ სრულებით არ ვარგოდა. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ჭიის პარკიდგან გამოდიოდა პეპელა დაუსრულებელი, მძიმე, ძლივს ინძრეოდა, თითქოს ფრთები შეკვეცილი ჰქონოდესთ და ზურგზე შავი ლაქები გადუყვებოდათ. ძნელათ პეპლაობდნენ. ზოგი როგორც კი პარკიდგან გამოვიდოდა, მაშინვე იხოცებოდა. ზოგი პარკი რჩებოდა გაურღვეველი და პეპელა ვეღარ იძლებდა პარკიდგან გამოსელას; ისე რომ საცა ავათმყოფობა ძალიან მოფენილი იყო,

ერთ ფუთ პარკიდგან რომ გირვანქა თესლი გამოსულიყო, კიდეე კარგი იქნებოდა. ერთ ფუთში, თუ პარკი ავათ მყოფი არ არის, ორ გირვანქა ნახევარი მაინც უნდა გამოვიდეს. მამალი პეპელები უფრო გამოდიოდნენ დედალზე.

(შემდეგი იქნება).

საოჯახო ცნობები.

ფრანცუზები სადიდხნოდ ამ ოსტატობით ინახავენ ყურძენს. როდესაც ჯერ სრულად არ არის დამწიფებული ყურძენი, ჰკრეფენ მტევნებს და მაშინვე ავლებენ იმათ კირ-წყალში; ეს კირი და წყალი იმ ზომით უნდა იყოს ერმანეთში არეული, რომ თხლად მოდულებული თათარის სისქე ჰქონდეს. ამ გვარ კირში ამოვლებულ ყურძენს ეკერება ზევიდგან კირის �c, და ზედ ახმება; ეს გამხმარი კირის ქერქი ჰაერს აღარ უშვებს ყურძნამდის და ამ ნაირად ლპობას არიდებს. როდესაც ამ გვარი შენახული ყურძენი ჰსურთ მიირთვან ან მიართვან ვისმეს — მაშინ მტევნებს ცხელ წყალში ამოავლებენ ხოლმე; ცხელი წყალი ყურძენს მსწრაფლად აცლის კირს ქერქს, და როცა ამ გვარად ირეცხება ყურძენი, ამბობენ, ახალი მოკრეფილისგან თითქმის არაფრით არ გაირჩევაო.

დამპალი კარტოფილი რაში არის გამოსადეგი. ჩვენ ვიცით, რაკი კარტოფილი ცოტაოდნად დაჭკნება, ჭაონიათ, რომ აღარაფრის გამოსადეგია, და, რასაკვირველია, ჭყრიან გამოუყენებლად. ერთი ნემეცი აგრონომი (მსწავლული მეურნე) სწერს ერთ ნემეცურ სამეურნეო გაზეთში, რომ რაც უნდა ძალიან დალპესო კარტოფილი, მაინც იმაში მყოფი სახამებელი უვნებელად რჩებაო; ამისგამო დამპალი კარტოფილი არაოდეს არ უნდა გადაყარონო, არამედ უნდა თხლად გაფინონ და გაშრონო; ამ გვარად გამშრალი დამპალი კარტოფილი სახამებლის გასაკეთებლათაც ივარგებს და საქონლის საჭმელათაცაო. ეს უთუოდ მართალი უნდა იყოს, რადგან ამ მეცნიერი მეურნის გარდა სხვაგანაც შეუმცნევიათ, რომ დამპალ კარტოფილში სახამებლის ნაწილები უვნებელად ყოფილა. ამის დასამტკიცებლად, სხვათა შორის, ერთ შემთხვევას მოვიყვანთ, რომელიც ამტკიცებს, რომ კარტოფილში სახამებელი არაოდეს არა ხდება. რუსეთის დასავლეთი გუბერნიების მოსახლეებს თურმე ისეთი ჩვეულება ჰქონდათ, რომ როცა კარტოფილი დაულპებოდათ და წაუხდებოდათ არ კი გადაჭყრიდნენ მიწაზედ (ზეზე), არამედ ორმოს ამოსთხრიდნენ და შიგ ჩაჰმარხავდნენ ხოლმე. ერთი ამ ორმოთაგანი დამარხვის შემდეგ რვა წლის უკან ვიდასაც შემთხვევით გაუქეია და შიგ უპოვნია ფქვილის მსგავსი თეთრი ნივთიერება. ეს ფქვილი უცდიათ, გამოუცხვიათ პურივით და უნახავთ, რომ შემრგოც და გემრელიც ყოფილა; ამას შემდეგ სხვა იმისთანა ორმოებიც გაუქექიათ, თხუთმეტი და ოცი წლის წინ დამარხული, და იქაც აგრეთვე ამისთანა კარგი კარტოფილის ფქვილი უპოვნიათ. ეს შემთხვევა იმას აჩვენებს, რომ, რაცუნდა წამხდარი იყოს კარტოფილი, მაინც სახამებელი იმაში საღად ინახება, და მაშასადამე სახით დამპალი და წამხდარი კარტოფილი ოჯახობაში მაინც გამოიყენება, თუ ყაირათიანი პატრონი შეჰხვდა.

საქონლის ჯიშის გაუკეთესება

კარგი მოელის შემწეობით.

(გაგრძელება)

ვისაც თავის საქონლის ჯიშის გაუკეთესება უნდა, ის ყოველთვის ყურს უნდა უგდებდეს ხბორების კარგა მყოფობას და ცდილობდეს, რომ ხბორებს ისეთი ავადმყოფობა არა დაემართოსთ რა, რომელიც იმათ ღონეს აცლის და აფუჭებს, და თუ დაემართათ — მალე უშველოს. ყველაზე ცუდი ავათმყოფობა, ღონე გამომცლელი ხბორებისათვის არის მუცელში ყანა. ყველა საქონლის პატრონს ნაცადი ექნება, რომ ეს ავად-მყოფობა დიდი მტერია ხბორებისა, ძალიან აფუჭებს იმათ და ბევრს კიდეც ჰხოცავს. მუცელში ყანის მიზეზი ის არის, რომ ხბორებს კუჭში სიმჟავეები უბევრდება; ეს კუჭის სიმჟავეების გამრავლება ხბორებს ადრეე შეაწუხებს ხოლმე, ასე რომ ყანა მერე აჩნდებათ; მაშინ ხბორები თავისთავად ეძებენ თავიანთთვის წამალს: ისინი კედლებს დაუწყებენ ხოლმე ლოკვას, თუ გაჯით ან კირით გალესილია, აგრეთვე შარდიან ქვებს და სხვ. როცა ხბორებს შეატყო, ეს კედლების და შარდიანი ქვების ლოკვა, მაშინ ახურში (სადაც საჭმელს უყრიან) საჭმელთან რამდენიმე წვრილი ნამტვრევი მელი (თეთრი კოშტ-კოშტი მიწა, მეწვრიმნები ჰყიდიან — მელს ეძახიან) დაუდგა ჩაუყარონ. ხან და ხან მოხდება ხოლმე, რომ ის მელი ახურში რამდენიმე თვეს დარჩება, მაგრამ შემდეგ ხბო დაუწყებს ჭამას და რამდენსამე დღეს სულ გაათავებს ხოლმე. მელი ძალიან კარგი წამალია იმისთვის, რომ ყანა არ შეეყაროს ხბორებს; რაც კუჭში მეტი სიმჟავეებია სულ აუქმებს და ყანას აღარ ჰმართებს ხბორებს.

წარსულ ფურცელში მოხსენებული ნემეცი-მებატონე, რომელმაც თავისი უხეირო ჯიშის საქონელი რამდენსამე წელიწადში ისე გააუკეთესა, რომ იმისთანა ფურები არაევისა ჰყვანდა ქვეყანაზე, — გარდა სელის თესლისა და მელის ჭმევისა, დეკეულებს აკრეჭინებდა ხოლმე და ახალ მოგებულ ფურებს კი კამის ჩაის ასმევდა ხოლმე.

ახალი ამბავი არ არის, რომ მუშა საქონელსა და საკლავს ჭკრეჭენ ხოლმე იმ ქვეყნებში, სადაც საქონლის მოელა რიგიან გზაზედ არის დამდგარი. ეხენებსაც ბევრგან გაჰპარსავენ ხოლმე შემოდგომაზედ, იმიტომ რომ საზამთროდ ამოსულმა სქელმა ბალანმა ოფლი არ დაუყენოს და ამით ავად არ გახდეს ცხენი. აგრეთვე საჭიროდ რაცხავდენენ საკლავი საქონლის გაკრეჭასაც; ბევრგან კიდეც დარწმუნდნენ, რომ გაკრეჭილი საკლავი საქონელი უფრო მალე სუქდება, გაუკრეჭავზედ.

სხვა რომ არა იყოსრა ბალან გაკრეჭილი საქონელი უფრო ადვილად შეინახება სუფთად, და რამდენისც სუფთად იქნება საქონლის კანი, იმდენი უფრო ადვილად გამოუვა ოფლი, რომელსაც ტანიდგან ცუდი, ურგები ნივთები გამოაქვს; ერთი სიტყვით გაკრეჭილი საქონელი უფრო სუფთათა და საღათ შეინახება, გაუკრეჭავზედ. შრანცუზები ამბობენ: კარგად დაურეცხილი და დაწმენდილი ცხენი, რომ არა ეჭაშმარა, მაინც ნახევარზე გამაძღარიაო. თუმცა ეს სიტყვები ნამდვილი ჭეშმარიტება არ არის, მაგრამ მაინც ცოტაოდენი სიმართლე აქვს; მართლაც რომ საქონლის სუფთად შენახვა ძალიან საჭირო და სასარგებლოა ოჯახობისთვის. რაღა თქმა უნდა, რომ კრეჭა წვრილ საქონელს უფრო უჭირს, ვიდრე მსხვილს, რადგან იმათ უფრო უმუშავებს კანი (ტანიდგან ცუდ ნაწილებს და სხვ. ჭყრის). ვიდრე მოზდილებს. ბაკრეჭა ძვირად არა ჯდება, —

ერთი დედაკაცი, ცოტა ხერხიანიც თუა, დღეში ოთხ სულს გაჭკრეჭს. ბაკრეჭის სარგებლობას მაშინვე შეატყობს ყველა: გაკრეჭილ საქონელს მადაც და წონაც ემატება.

ქამის ჩაის სარგებლობაზედ ახალი მოგებული ფურებისათვის, უეჭველია, არავინ არ იქნება იტეზი; ბერმანიაში (სანემეცეთში) აქიმები ბევრჯერ რძე ნაკლებ მაწოვარ ქალებსაც ურჩევენ ხოლმე კამის ჩაის სმას. (ჩვენშიაც, როგორც ერთი—ორიოდე გვინახავს, ვგონებთ, ხმარობენ კამის ჩაის რძენაკლები მაწოვარი ქალები).

ქაბა ძალიან აძლიერებს სხეულში სარძეველ იარაღების მუშაობას და რძეს ამის გამო ბევრს ამზადებინებს. იმ ფურებს რომ დაალევინონ კამის ჩაი, რომელთაც რძე მოჰკლებია სრულად მოუწველელობისაგან, მაშინვე უწინდებულად მოემატებათ რძე და კიდეც გადაეჭარბებათ უწინდებულზე.

ქამის ჩაის მოსამზადებელად უნდა აიღონ თხუთმეტი მისხალი კამა, ზედ დაასხან ორი დიდი სტაქნის ტოლა წყალი, დადგან ხუთიოდე წამს ისე და შემდეგ გაწურონ. ყოველთვის თბილი უნდა დაალევინონ, ბოთლით, როგორც წამალს ჩაასხავენ ხოლმე—ისე. უფრო ბევრჯერ ამ კამის ჩაის ხბოს მოგების შემდეგ ორ-სამ დღეს ასმევენ ფურს, დღეში სამჯერ, ჭმეის წინ.

როგორც ნაცადია, კამის ჩაი არა თუ მარტო დროებით უმატებს რძეს ფურებს, არამედ სადიდხნოთაც, ასე რომ ამ ნაირად რძის მომატება ბევრჯერ სამკვიდრო (საშვილიშვილო) თვისებად გადაეც�eთ ხოლმე. ამ საშუალებით (კამის ჩაით)ზეკით ნათქვამს ნემეცის მებატონეს იქამდის მიუღწევია, რომ თავის უხეირო და რძე ნაკლები ფურებისაგან მშვენიერი თვისების ფურები დაუზდია,—რომელნიც არა თუ რძეს უხვად იწველიან, არამედ დიდხანსაც, ასე რომ იმის ფურების უმეტესი ნაწილი თვით ხბოს მოგებამდის იწველელება და ეშით არა აკლდებარა ფურებს. ამ რძის სიუხვეს ის მებატონე კამის ჩაის აბრალებს და ამასთან კარგ, რიგზე ჭმეასა და რიგიან მოვლას. ეს სწორეთ ესრეც უნდა იყოს: რამდენიც ფური კარგ საჭმელსა სჭამს და სამყოფს, იმდენი იმის სხეულში ბევრი სარძეო მასალა იქნება—რძის გასაკეთებელი; აგრეთვე რამდენიც ფურის სხეულში რძის მომამზადებელი იარაღები ღონიერები და საღები იქნებიან, იმდენი რძესაც კარგა და მალე მოამზადებენ. მაშასადამე უფრო მომატებულად საჭმელზე, მოვლაზე და ფურის სისაღეზე არის დამოკიდებული რძის სიუხვე.

ბოლოს ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ის ნემეცის მებატონე სხვა განსაკუთრებით მოვლას არა საჭიროებს თავის საქონლისათვის; მხოლოდ ეს კია, რომ სელის თესლს ბევრს ახმარებს, იმდენს ახმარებს, რამდენიც იმის აზრით საკმაო იქნება, რომ მოწველილი რძისაგან დაკლებული სიმსუქნე მიუმატოს ფურს. ჩვენ რომ იმის უბადლო შავ ფურზე ვთქვით, იმ ფურს ის აძლევდა დღეში რვა გირვანქა სელის თესლს, მაგრამ იმის ნაცვლად ის ფურიც, ხბოს მოგების შემდეგ ოთხ თვეს უკანაც დღეში ოთხ გირვანქა კარაქს აძლევდა პატრონს.

ძალიან სანატრელია, რომ ჩვენებურმა საქონლის პატრონებმაც მიჰბაძონ ზეკით ნათქვამ ნემეცის მებატონეს. შეუველია, რომ ყველა საქონლის პატრონი, თუ იმისავით ბეჯითად მოიქცა საქონლის ჭმეასა და მოვლაში—ყოველთვის მიაღწევს თავის მიზანს, ესე იგი თავის საქონლის ჯიშს უთუოდ გააუკეთესებს. რაღა ჩიჩინი უნდა, რომ ისეთი ფურები კარგია, რომელიც დღეში ოთხ გირვანქა კარაქს აძლევს პატრონს. მისაც ამ გვარი ფურებს ყოლა სურს, იმან საქონლის მოვლა და კარგი შენახვაც უნდა ისურვოს. ამ ნაირად საქონლის გაჯიშიანებისათვის შრომა და ხარჯიც არ უნდა დაიშუროს პატრონმა, რადგან „რასაც არ დათესთ,იმას ვერც მოვმკით“. ერთი გასაჭირი აქ საქონლის პატრონისთვის სელის შოვნაა. ამის შოვნაც ადვილია, თუ მოინდომა. ჩვენშიაც ძალიან კარგა მოვა სელი, თუ კი დასთესენ. მაშასადამე ყველა საქონლის პატრონს შეუძლიან ყველა საჭმელი საქონლისათვის თითონ მოიყვანოს და იაფად დაისვას. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ აქ აწერილი საშუალება ძალიან ადვილი საშუალებაა ჯიშის გასაუმჯობინებლად და ძალიან საიმედოც. აქ „სათუო“ თითქმის არა არისრა.

ა ვ ა ზ ა ი ი ხ ო ზ ე.

(ნამდვილი მოთხრობა.)

ჩყიე-სა წელსა, ერთს სიცხიან საღამოს დროს, მოხუცებული მღვდელი ერთის სოფლის ეკკლესიისა, მიდიოდა დაღალული თავის საწყალს ქოხში, სადაც ცოლიდა სათნო და კეთილი სამოცდა ათის წლის ცოლი მარგარიტა. ესპანიაში, მართლა, იშვიათი არ არის სიღარიბე და ღარიბი სახლები, მაგრამ მღვდლის საწყალს ქოხში უფლებდა რაღაც საკუთარი სიღარიბე, და სურვილი, რომ ეჩვენებინათ თავი შეძლებულად, უფრო ცხადად წარმოადგენდა სიშიშვლეს იმათის კედლებისას და სიღარიბეს სახლის მორთულობისას. მარგარიტამ მოუმზადა მღვდელსა ეახშმათ ერთი ჯამი წვნიანი საჭმელი; ეს იყო გადანარჩენი სადილისა, სხვა-რიგ საჭმელად გადაკეთებული, ძლიერ ოსტატურად; მღვდელმა ყნოსვით იგრძნო სუნი იმ წვნიანისა და სთქვა: კურთხეულ არს სახელი შენი უფალო! მერე მიუბრუნდა და ცოლს უთხრა: მარგარიტა! აი ამ წვნიანზე მე ნერწყვი მომდის პირში. მერე მიუბრუნდა უცნობს კაცსა და უთხრა: გეფიცები შენ წმინდას პეტრეს, რომ სულ მთელი ლოცვები გადაგეკითხნა, ძნელად იპოვნიდი ამისთანა ეახშმასა. სახემ მარგარიტასამ მიიღო რაღაც ნაირი გამოხატულება, როდესაც დაინახა უცნობი კაცი შესული მღვდელთან. თვალი იმისი, რომლითაც გარდახედა უკმაყოფილოს სახით მოულოდნელს სტუმარსა, გაჩერდა ბოლოს მღვდელზე, რომელმაც დახუჭა თვალი, და კრთომით ბავშვისა, რომელსაც ეშინიან მამისა, სთქვა ჩუმათ ბუტბუტით:

— სადაც ორი სჭამს პურსა, იქ მესამეც გაძღება; მეორეც ესა, მე არა მგონია, რომ შენც თანახმა გამხდარიყავ ამაზედ, რომ მე ეს ქრისტიანი გამეშვა კარზედ ორის დღის უჭმელი, რომელიც, იქნება შიმშილით მომკვდარიყო. ღეთის მშობელო ქალწულო! წარმოსთქვა ბებერმა ქალმა, ეს როგორი ქრისტიანია; ეს უფრო ჰგავს ავაზაკსა, ვინმე ქრისტიანსა,—სთქვა ესე და ბუტბუტით გავიდა ოთახიდამ.

ამ დროს სტუმარი მღვდლისა იდგა კარებში უძრავად, ის იყო მაღალის ტანისა, ჩაცმული თითქმის ძაძებით. შავი, როგორც კუარი, თმა, ბრიალა თვალები და გრძელი მისი თოფი, რომელიც ხელში ეჭირა, ცხადათ გაჩვენებდათ, რომ კარგ კაცს არა ჰგვანდა, და ეუბნა შეგიყვანდათ. ნება მომეცით გაგშორდეთ, მღვდელო, უთხრა ბოლოს უცნობმა.

მღვდელმა გაუქნია უარის ყოფის თავი და სთქვა ვინც ერთხელ შემოვა ჩემს სართულს

ქვეშ, ის აქედამ აღარ იქნება არაოდეს გაგდებული, და არც არის ის ტერითი ჩემი; ესრეთი არის ჩემის ცხოვრებისა კანონი. ბოთხოეთ მიაყუდოთ ეგ თქვენი თოფი კუთხეში, მერე ვახსენოთ ღმერთი და დავსხდეთ ვახშმათა.

— უკაცრავად, მიუგო სტუმარმა; ანდაზაა, რომ ორი მეგობარი შეადგენს ერთს პირსაო და ამისათვის მე არაოდეს ხელიდამ არსად გაუშვებ ჩემს თოფსა; ეს არის ჩემი პირველი მეგობარი; დაე, ხელში მეჭიროს ეს თოფი, ამიტომ რომ თუმცა თქვენ განაგრძობთ მაგ სტუმართ მოყვარეობასა და მეგობრულად გამაცილებთ მასპინძლობის შემდგომ; მაგრამ არიან სხვანი მრავალნი, რომელნიც, თუ ხელში ჩაუვარდი, შემიკერენ ხელფეხსა, და იფიქრეთ რა საჭირო იქნება ჩემთვის მაშინ ეს ჩემი განუშორებელი მეგობარი.

— აი, ეხლა კი თქვენი სადღეგრძელო იყოს, უთხრა მღვდელს, გამოსცალა რა სტაქანი ღვინით სავსე.

მღვდელს წმინდის პეტრესას ჰქონდა ძალიან კარგი მადა, მაგრამ ისიც განაცვიფრა სიხარბემ სტუმრისამ, რომელმაც ერთს წამში, არა თუ შეხვრიპა მთელი ჯამი წვნიანისა და, აღარც თუ გაუშვა რა ერთის დიდის პურისა, რომელიც აიწონდა ათს გირვანქას და იმ დროს წამ და უწუმ იყურებოდა ის აქეთ იქით, თრთოდა მცირედ ხმიანობაზედ. მცირე ხანს შემდგომ უცებ ქარმა მიარახუნა კარები, და მაშინ ის წამოხტა ზეზედ და მოიმზადა თოფი. როდესაც მოეგო ამ უცების შეშინებისაგან, დაჯდა იქვე და განაგრძო მადიანი პურის ჭამა.

— ახლა კი, სთქვა ბოლოს, საჭმლით პირსავსემ, გთხოეთ, ამ კეთილ-მოქმედებას დაუმატოთ ერთიცა: მე ვარ დაჭრილი შიგ ბარძაყში, და აი რვა დღეა, რაც ჩემი წულულტება შეუხვეველი მაქვს. მამეცით რამე ძველი მჩვარი და მაშინ ყოველის შეწუხებისაგან განგათავისუფლებთ.

— მე სრულებით არა ეცდილობ შენს თავიდამ მოშორებას, მიუგო მას მღვდელმა; და რაც შეეხება შენს დაჭრილობას, აი რას გეტყვი: მე თვითონ ვიცი მცირედი ექიმობა, და მაშასადამე არ მიგახწევინებ არც ხამ სოფლის დალაქამდის და არც ცუდ ჩვრებს გახმარებინებ; აი, თქვენ ეხლავ ნახავთ ამას.

ამოიღო იმ დროს შაფიდამ გამოკრული პარკი, რომელშიაც ჰქონდა აფთეკა: მერეგადიკეცა ყურთმაჯები და შეუდგა აქიმის ვალდებულების, აღსრულებასა. დაჭრილობა აღმოჩნდა მართლა ძლიერ ღრმა; ბარძაყი სრულებით გახვრეტილი ჰქონდა ტყვიით, ასე რომ საკუთარი ძალა და მხნეობა საჭირო იყო, რომ ისე სულგრძელებით მოეთმინა ის წულულება, როგორც ის ითმენდა. როდესაც დაასრულა შეხვევა უთხრა მღვდელმა: თქვენი წასელა ამადამ არ შეიძლება, თქვენ უნდა ეს ღამე გაათიოთ აქა; ეს მცირეთ გაგამაგრებსთ თქვენ, შემაცირებს ანთებას და დააცხრობს სიმსიენეს.

— არა, მიუგო მსწრაფლად სტუმარმა, მე უთუოდ უნდა წავიდე ღღესვე, ამავე წამში; არიან იმ გვარნი პირნი, რომელნიც მიმელიან მოუთმენლად, სთქვა ამოოხვრით; არიან იმისთანანიც, რომელნიც მეძებენ მე, სთქვა ეს კი რაღაც მხეცებრივის მღიმვარებით. ვნახოთ! აბა, რა ჰქენით? დასასრულეთ შეხვევა ჩემის დაჭრილობისა? ძარგი! მე ეხლა ისრე ეგრძნობ თავესა, თითქო დაჭრილიც არ ვიყო; ცოტა პური თანაც გამატანე და გამოგეთხოვებით კიდეც—აი ერთი ოქროც თქვენი ვახშმის ფასი. მშვიდობით!

მღვდელმა გადაუგდო უკანვე ოქრო უკმაყოფილებით და უთხრა: მე ტრახტირჩიკი არ გახლავარ, უფალო, და ჩემს სტუმართ მოყვარებას ფასად არა ვყიდი.

— ნება თქვენია, უთხრა სტუმარმა, ჩაიდო ოქრო ისევ ქისაში, ამოიდო იღლიაში დიდი პური, რომელიც მარგარიტამ შემოუტანა, გაუდგა გზას წამოსადეგი კაცი, და დაიმალა ბოლოს ბუჩქნარში, რომელიც გარშემორტყმული ჰქონდა მღვდლის ქოხსა.

ერთის საათის შემდგომ მღვდელმა გაიგონა თოფის ხმა და ამ დროს ისევ ის სტუმარი, დაჭრილი გულში, სისხლიანი და ფერმკრთალი, როგორც სიკვდილი, შეევარდა იმისევ ოთახში.

— აი, აიღეთ ეს ფულები ნაჩქაროდ, უთხრა მღვდელს სტუმარმა, და იქ თხრილში შენს სახლს ახლოს... ჩემი ცოლი და შვილებიარიან! სთქვა, ესე და დაეცა, მიწაზედ.

ამ დროს მღვდლის ოთახში შემოსცვივდნენ ისპანიის ჯანდარმები, რომელთაც ხელში ეჭირათ თოფები, ზედ ფეხზედ ჩახმახ შესმულები, და სტაცეს რა დაჭრილსა ხელი, შეჭკრეს მცირედის მისის მხრით წინაალმდეგობისა, და შემდგომ მისცეს ნება მღვდელს შეეხვია იმისთვის დაჭრილობა. ბევრი ეხვეწა მღვდელი ჯანდარმებს არ წაეყვანათ ისე მძიმედ დაჭრილი და არწმუნებდა, რომ გზაში ის ხელში შემოაკვდებოდათ, მაგრამ სულ ყოველივე ეს ხვეწნა იყო ამაო: არა თუ არა გაუგონეს რა მღვდელს, ურემშიაც არ ჩასდვეს ის საწყალი მძიმედ დაჭრილი.

— გზაში მოკვდება თოკისაგან, რომლითაც ეს შეკრულია თუ არა, სულ ერთია, უთხრეს მღვდელს გულგრილად ჯანდარმებმა,— სე მაგისი გარდაწყვეტილია! დასასრული მაგისი არის საშინელი, რადგან ეს არის საქვეყნო ავაზაკი ხოზე.

ხოზემ ბოლოს მადლობა შესწირა მღვდელსა; მოსთხოვა კიდევ ერთი სტაქანი წყალი და როდესაც მიიტანა ტუჩებთან წყალი, ხოზემ კიდევ რაღაც ჩასჩურჩულა ყურში მღვდელს. ხო მიხვდით? ჰკითხა ბოლოს სასიკვდილო ხმით. მღვდელმა დაუქნია თავი და შეატყობინა, რომ მიხვდა. როგორც გავიდნენ ჯანდარმები თავისის სისხლიანის საშოერით, მღვდელმა მაშინვე ჩაიცვა ტანთა და, თუმცა მარგარიტა წარმოუდგენდა იმას საშიშრობას გზისას ღამით, მაგრამ მაინც წავიდა ის პირდაპირ იმ თხრილისაკენ, რომელიც დაუნაშნა ხოზემ და ჰპოვა იქ მკვდარი დედაკაცი, ერთი ძუძუსი და ერთი ოთხის წლის ვაჟი: ეს უკანასკნელი ანძრევდა პატარა ხელებით დედას და აღვიძებდა, ეგონა, რომ ის იყო მძინარე.

წარმოიდგინეთ განკვირვება მარგარიტასი, როდესაც დაინახა მღვდელი შემოსული ოთახში ორის პატარას ბავშვებით, რომელთა დედაც მიაბარა მიწასა.

—ღვთის გულისათვის მითხარი, რა გიქმნია ეგ, უ. მღვდელო? ჩვენ თვითონ არ ვიცით, რით უნდა ვიცხოვროთ და შენ მოგყავს კიდევ ორი სხვის შვილები; დფიქრდი კარგად, რა უნდა უყოთ მაგათ, მოწყალებას ხომ ვერ ვითხოეთ მაგათის გულისათვის? მერე ვისი შვილები, ავაზაკისა, ბოშასი; მეორეც ესა, რომ მე დარწმუნებული ვარ ეგენი მოუნათლავიც იქნებიან.

ამ დროს ძუძუს ბავშვმა შექმნა ტირილი; აბა ახლა რა უყო მაგას, უ. მღვდელო? უთხრა კიდევ მარგარიტამ, რით უნდა გამოიზარდოს ეგ პატარა? შენ კარგად იცი, რომ ძიძის ქირაობის თავი ჩვენ არა გვაქვს, ეგ

უნდა ეზარდოთ რძითა, და იცით რა სიძნელე და რა მოუსვენებლობა მოსდეეს ამასა; იცით რამდენი მძიმე ღამე მიმელის მე ამ დღიდგან მაშინ, როდესაც თქვენ იმ ღამეებს გამოიძინებთ ტკბილად; მგონია, ჯერ ექვსი თვისაც არ არის ეგ ჩჩვილი, მაგისი ბედი, რომ შინ ცოტა ძროხის რძე კიდეე მეგულება.

და უცებ, დაიეწყა რა ყოველი უკმაყოფილება, აიყვანა ხელში ბავშვი, დაუწყო კოცნა, ერთის ხელით უთბობდა რძესა და მეორეთი უყვავებდა.

სახაზინო განცხადება.

ამ წლის ოცდაექვსს აგვისტოს (მარიამობისთვეს) **თ**ელავის უეზდის სამმართველომ დანიშნა გასყიდვა საზოგადო შეკეჩრებით უძრავის ქონებისა, რომელიც ეკუთვინს **თ**ელავის მცხოვრებს **ბ**აღდასარ **ა**დამს **მ**ამუდოვს. **ე**ს ქონება იმყოფება **თ**ელავში და აი რადა რაარის: ერთი ხის სახლი და ორმოც მანეთად დაფასებული მიწა, რაზედაც თვითონ სახლი დგას. **ვ**ისაც სურს ამ მამულის ყიდვა, ის ენდა გამოცხადდეს დანიშნულს დღეს **თ**ელავის უეზდის სამმართველოში, საცა ნახვენ ფასზე შედგენილს სიას და ყველა ქალალდებს, რომელნიც ამ მამულის გაყიდვას შეეხება.

—**თ**ელავის უეზდის სასამართლომ გადასწყვეტა ამ წლის ათს მარიამობისთვეს გაყიდვა ვენახისა, რომელიც მდებარებს **თ**ელავში და ეკუთვნის **თ**ელავის მცხოვრებს **ი**რაკლი **ნ**ადიროვს. **ვ**ისაც ამ მამულის ყიდვა უნდა, ის უნდა გამოცხადდეს უეზდის სამმართველოში დანიშნულს დღეს, საცა ნახვენ ამ მამულის გაყიდვის შესახებს ქალალდებს.

ტფილისის უეზდის სამმართველომ გადასწყვიტა გასყიდვა მამულისა, რომელიც ეკუთვნის ძმებს **მ**ისაილს, **დ**ავითს და **ი**ოსებს **ს**ვიმონის ძეთა **ხ**იმშიაშვილებს. **ე**ს მამული მდებარებს **ტ**ფილისის პირველი კვარტალის პირველს ნაწილში. **მ**ამულია ერთი აგურის შენობა დუქანი სარდაფიან და მიწიანი, რომელიც სიგძით ოთხი საჟენია და სიგანით ხუთი არშინი და ათი ვერშოკი. **ე**ს მამული ორმოცდა რვა თუმნათ არის დაფასული. **ა**მ მამულის გაყიდვის ეადა მომავალს სამს სეკტემბერს უნდა იყოს. **ვ**ისაც ამ მამულის ყიდვა სურს, დანიშნულს დროზე უნდა გამოცხადდეს უეზდის სამმართველოში, საცა ნახვენ ამ ქონების სავაჭრო სიას და იმის შესახებს სხვა ქალალდებსაც.

არითმეტიკა.

რიცხვი რვა. 8.

მასწავლებელი აიღებს ხელში ღილებს და იტყვის. **რ**ამდენი ღილი დადეე ფიცარზე?—7.—**ა**ქ ახლა რვა ღილია, მითხარი რამდენი მიუმატე? 1.—**მ**აშ შვიდი ღილი და ერთი რამდენს შეადგენს ერთად?—დაეითვალოთ.

(**ღ**ილები სათითოოთ გადააქვთ მეორე ადგილას და ყმაწვილები ითვლიან, ერთი, ორი და სხვა რვამდის. **შ**ემდეგ მასწავლებელი თანდათან თითო-თითოთ ხელს ააფარებს ღილებს და ყმაწვილები დაიწყებენ უკუღმა თვლას რვადგან მოკიდებული ერთამდის).

რიცხვი რვა იწერება აი, ასე 8. **ა**მ ფანჯარაში რამდენი მინაა ჩასმული? 8. (**თ**უ თვითონ სასწავლებელში არ არის რვა მინიანი ფანჯარა, მასწავლებელმა უნდა დახატოს იგი ფიცარზე და იმით ავარჯიშოს ყმაწვილები). **ა**ქამდის რამდენი მინაა?... 6. **რ**ვამდის რამდენი აკლია?—**მ**აშ 6 მინა და 2....?—**თ**ქვენთვის დაითვალეთ ის მინები, რომელზედაც მე გიჩვენოთ; რამდენი დაითვალეთ? 5.—**რ**ვამდის რამდენი უკლია?—**მ**აშ ხუთი მინა და სამი რამდენი იქნება?—**ა**ქამდის რამდენი მინაა? 4.—**მ**აშ 4 და 4 რამდენსა იქმს?—**ე**ს მითხარი, რამდენჯერ გამოვიდა რვაში ოთხ-ოთხი?—**ო**რჯელ ოთხი მინა რამდენია?—8. **ზ**ემოთ წყებაში რამდენი მინაა? 2.—**ი**მაზე ქვემოთ წყებაში რამდენი მინაა?—**ს**აშუალო წყებაში რამდენია?.—ქვემო წყებაში?—სულ რამდენი წყება გამოვიდა ამ ფანჯარაში?—4. **თ**ითო წყებაში რამდენ-რამდენი მინაა?—**ო**რ-ორი-—**მ**თელს ფანჯარაში რამდენჯერ ორი გამოდის?—4.-ჯერ 2. **მ**თქვათ. რვა—ჯელ წაგვიდა დუქანში **და** თითოჯერ თითო კალამი იყიდე; სულ რამდენი კალამი გიყიდნია?—**მ**აშ რვაჯელ ერთი კალამი რამდენსა იქმს?

ეს **მ**ითხრა **ბ**ა რიცხვთა მასწავლებელმა უნდა გამოხატოს ხაზებით და დაითვალოს ხოლმე. **მ**ერმე ხაზები თითო-თითოთ უნდა წაშალოს და თქვას ხოლმე 8-დგან 1 რომ გამოეაკლო დარჩება 7; 8—2=6, 8—3=5, 8—4=4, 8—5=3 და სხვ. **ვ**ინ გამოიცნობს იმ ოთხს ცხოველს, რომელთაც 8 ფეი აქვთ და 8 ფრთები?—**მ**ითხარი იმისთანა ოთხი ცხოველი, რომელთაც რვა რქა ჰქონდესთ?

აი რვა ცალ-ცალი კაპეიკი. **ი**ქიდგან თითო კაპეიკობით რამდენჯერ შეგიძლიან გამოიაკლო? - **მ**აშ 1 კაპეიკი 8 კაპეიკში რამდენჯერ იმყოფება?—**რ**ვა კაპეიკში რამდენი ორ კაპეიკიანი გამოვა?—**მ**აშ 8 კაპეიკში რამდენჯერ იმყოფება 2 კაპეიკი?—4 კაპეიკი 8-ში რამდენჯერ გამოვა?—8 კაპ. 8-ში?—ეინაც 8 კაპეიკდგან 6—დახარჯავს, იმას რამდენი დარჩება?—**ქ**ეკე გაგზავნეს დუქანში 8 კაპეიკის შაქრისათვის და მისცეს ოთხი ფული, თითო ფული რამდენიანი იქნებოდა?—8 ცალ-ცალი კაპეიკი ორ ფულში გამეცვალეს, რამდენიანებს მომცემდნენ?—**ს**ამ ფულში რომ 8 კაპეიკი გაეცვალო. რამდენიანები მექმნება. **ო**თხფულში რომ გაეცვალო?—5 ფულში რომ გაეცვალო? და სხვ. (დაშლა ამ ფულებისა ნათლად უნდა აჩვენოს მასწავლებელმა მოწაფეს).

ეს თაბახი გაჰყავ რვა თანასწორ ნაწილათ.-ერთს ნაწილს რა ჰქვიან?—**ერ**თი მერვედი,-**თ**აბახში რამდენი მერვედია?—**მ**ეოთხედი რამდენია გამოვა?—**რ**ამდენი ნახევარი გამოვა?—**ერ**თი მეოთხედი ერთს მერვედს შეატოლე.—**ო**რი მერვედი —ერთს მეოთხედსა.—**ო**თხი მერვედი ორ მეოთხედთან და ნახევართან. **ექ**ვსი მერვედი სამ მეოთხედთან და სხვ.

ორ ჯიბეში 8 კაკალი მაქვს; თითოში რამდენია?

ქოტემ ორს დას რვა ქოთანი აჩუქა, თითოს წილად რამდენი ჰხვდა?

ოთხმა ყმაწვილმა თავიანთ მშობლებიდგან რვა მტრედი მიიღეს საჩუქრათ და თანასწორათ უნდა გაეყოთ ერთმანეთში, თითოს რამდენი მტრედი ჰხვდებოდა?—**ა**მ რიცხვის მერვედი რამდენი მტრედი იქნება?

ორმა ძმამ ხეს ქვეშ რვა ბალი ნახა, პირველს შეხედა ყველა მარცვლების მეოთხედი და მერვედი, მეორეს რამდენი ჰხვდა?—**ხ**უთი მარცვალი უნდა შეხვედროდა;—**პ**ირველს კი სამი მარცვალი. **ერ**თი ვაშლი გაუყვეს 4 ყმაწვილსა; **უ**ფროსს სამი მერვედი არგვეს, **ს**აშუალს ერთი მეოთხედი, **უ**მცროსს **რ**ამდენი ერგებოდა?

| | | | | | | | | =8

ეს რიცხვი მასწავლებელმა უნდა შეადარებინოს ყმაწვილებს წინა რიცხვებთან; უნდა შეადგენინოს სქემები და ერთობრივ უნდა წააკითხოს იმათ; მერმე:

8=7+1, 6+2, 5+3, და სხვ.

7=8—1 და სხვ.

8=2×4, 4×2, 8×1

1=1/8×8, 2=1/4×8 4=1/2×8 ოთხი ერთი არის მერვედი 8-სა, ორი რის მეოთხედი რვისა.

არის ნახევარი რვისა.

რიცხვი 8 შესდგება: ა) ოთხ თანასწორ ნაწილიდგან, ამიტომ რომ იმაში 2 იმყოფება 4 ჯერ: ბ) 2 თანასწორ რიცხვისაგან, რადგან 8-ში 4 ორჯერ გამოდის; გ) 2 თანასწორ ნაწილისაგან და 1 უთანასწორო ნაწილისაგან: 3+3+2.

რიცხვთ შეზავება და ჩქარს აღრიცხვაში ვარჯიშობა: **რომელი** რიცხვი უნდა გავაორო, რომ 8 შეიქმნეს? 8 მეოთხედი რომელს რიცხვში იმყოფება სამჯერ? — **რა** განსხვავებაა 8-ის ნახევარსა და 6-ის ნახევარს შუა? — 8-დგან 1 რამდენჯერ უნდა გამოვაკლო, რომ 3+2 დარჩეს? — 8-ის 1/4 რამდენჯერ მეტია 4-ის ნახევარზე? — 8 ნახევარს რამდენი უნდა მიუმატო, რომ 7 გახდეს? 3×1 რამდენით მეტია 2×4? 4×2 რამდენით მეტია 3—2? — **რამდენს** შეადგენს 2×4—5—2?

— **რამდენია** 8 : 4×2+3+1—4×2+2? — **რამდენია** 5—3+6—4+3+1 **რომ** ორათ განყო და სხვ?

რვა მისხალში **რამდენი** ლოტია? — **რვა** დღეში **რამდენი** კვირა გამოვა? 8 კაპეიკში **რამდენი** ორკაპეიკიანია, — სამკაპეიკიანი — შაური? 8 **არშინში** **რამდენი** საჟენია?

შეშის ბურთი ერთი ოთხ კაპეიკათ ღირს, ორი ამისთანა ბურთი **რამდენათ** ღირს? — **ოთხ** კაპეიკათ ორი პარკი ქვაშის ყიდვა შეიძლება; 8 კაპეიკათ **რამდენის** ყიდვა შეიძლება? — **ძოლას** უნდოდა 4 ძელის სათამაშოს ყიდვა, თითო 2 კაპეიკათ ღირს; ამისთვის **რამდენი** ფული დასჭირდებოდა? **ლედამ** სამი ფული მისცა **რვა** კაპეიკათ, **რამდენ** **რამდენი** კაპეიკანი უნდა ყოფილიყოს თითო ფული? 8 კაპეიკათ **რომ** ორი ლოტი ჩაი მოვიდეს, ლოტი **როგორ** ეღირებს? — **ერთ** **არშინს** ზონარში ვაჭარმა ითხოვა 8 კაპეიკი, მაგრამ შემდეგ 2 კაპ. მოაკლო, **გამოიცან** **არშინი** **როგორ** მიუყიდნია? — **ერთი** **ბური** **რომ** ორ კაპეიკათ ღირდეს, ოთხი **რამდენათ** ეღირება? **ერთს** მოწაფეს 8 კაპეიკი აქვს, **რამდენჯერ** შეუძლიან **დახარჯვა:** ა) 8 კაპეიკისა, ბ) 4 კაპ. გ) 2 კაპ.; დ) 1 კაპ. **მუშა** **რომ** **დღეში** 1 **მან.** **იღებდეს**, 8 **მანეთს** **რამდენ** **დღეს** **აიღებს**? — 8 **დღეს** **რომ** 4 **მანეთი** **იშოვნოს** **დღეში** **როგორ** **უმუშაენია**? **ორი** **ლოტი** **და** **ორი** **მისხალი** **ძეფი** **რომ** 8 **კაპ.** **ღირდეს** 1 **მისხალი** **როგორღა** **ეღირება**? — 8 **ხის** **ბურთი** **როგორ** **მოვა** **ოთხში** **რომ** **სამი** **კაპეიკი** **მიეცე**? — **აბა**, **ახლა** 4 **კაპეიკათ** **რომ** 3 **ბურთი** **იყიდო**, 8 **კაპეიკათ** **რამდენი** **მოვა**?

ბურთ. 0 0 0 0 | | | კაპეიკები.

ბურთ. 0 0 0 0 | | | კაპეიკები.

კაპეიკ. | | | | 0 0 0 ბურთები.

კაპ. — | | | | 0 0 0 ბურთები.

რუსეთის ამბავი.

ეაზახის ქალაქში ილმინსკისგან გამართული თათრის სკოლა. **ეაზახის** გუბერნიაში ცხოვრობს ოთხას ორმოცი ათასი თათარი და იმათში ორმოცი ათასი კაცი თუ არის მონათლული, მეტი არა. ბევრი იმათგანი ხელ-მეორეთ გადუდგებიან ხოლმე ქრისტიანობას და ისევ მახმადიანდებიან. **ამის** **მიზეზი** **ის** **არის**, **რომ** **მონათლულებმა** **არა** **იციან** **რა** **ქრისტიანობისა** **და** **არ** **ესმისთ** **თავის** **ქრისტიანობრივი**. **მოვალეობა**. **ქრისტიანები** **ჰქვიანთ**, **თორემ** **სხვაფრივ** **მახმადიანებისგან** **არ** **განირჩევიან**. **უფ.** **ილმინსკიმ** **იკისრა** **იმათი** **აღზრდა** **ქრისტიანულს** **წესზე**, **რომ** **ამით** **დაამკვიდროს** **იმათში** **ქრისტიანობა**. **უფ.** **ილმინსკი** **ამ** **დიდ** **ღვაწლისთვის** **ძალიან** **კარგათ** **არის** **გამზადებული**. **იმან** **შეასრულა** **სწავლა** **ეაზახის** **სასულიერო** **აკადემიაში**, **ცოტა** **ხნობით** **მასწავლებლათაც** **იყო** **იქა**; **რამოდენსამე** **ხანს** **უნივერსიტეტში** **აღმოსავლეთის** **ენებს** **სწავლობდა** **და** **ბოლოს** **ოსმალეთი** **მისირი**, **პალესტინა** **და** **ეგვიპტე** **მოიარა**. **ახლა** **ის** **ეაზახის** **სასულიერო** **აკადემიაში** **მოძღვრობს** **და** **უნივერსიტეტში** **სწავლობს** **თურქულს** **და** **ოსმალურს**....

ილმინსკის **შკოლაში** **როცა** **ჰსურთ**, **მაშინ** **შედიან** **ყმაწვილები** **სასწავლებლათ**, **დედ-მამის** **ნებაყოფლობით**. **და** **როცა** **უნდათ**, **მაშინ** **წავლენ** **შკოლიდგან**. **წლოვანებაში** **არ** **არის** **გარჩევა**. **რა** **წლისაც** **უნდა** **იყოს**, **ყველას** **იღებენ**. **შკოლაში** **უფასოთ** **ასწავლიან**. **შკოლა** **არჩენს** **მხოლოდ** **ღარიბებს** **და** **ობლებს**, **სხვები** **კი** **თავის** **ხარჯზე** **არიან**. **მასწავლებელათ** **მონათლული** **თათარი** **ბასილ** **ტიმოთეს** **ძეა**, **საქები** **და** **პატივსაცემი** **კაცი**. **თვითონ** **იქვე** **შკოლაში** **ბინადრობს**. **სულით** **და** **გულით** **მონდომებულია** **ეს** **კაცი** **თავის** **საქმეზე**. **ილმინსკის** **სიტყვით** **საქრისტიანო** **წიგნები** **თავის** **კარგის** **დარიგებით** **სამშობლო** **ენაზე** **დაწერილი** **ძალიან** **მოსწონთ** **ყმაწვილებს**. **ბანსაკუთრებით** **ქრისტიანული** **ლოცვების** **გალობა** **თათრულ** **ენაზე** **უღვიძებს** **გრძნობას** **ყმაწვილებს**. **ამის** **გამო** **მონათლულს** **თათრებს** **მოსწონთ** **ამ** **შკოლაში** **სწავლა** **და** **ამით** **თვითონ** **შკოლასაც** **ეძლევა** **მტკიცე** **საფუძველი**.

წინათ **ძალიან** **ცოტა** **მოსწავლენი** **იყვნენ** **ამ** **სასწავლებელში**, **შემდეგ** **თან-და-თან** **ემატებოდა** **და** **ახლა** **იქ** **ას** **შვიდი** **ყმაწვილი** **სწავლობს**. **იმაში** **ოთხმოცდა** **ხუთმეტი** **ვაჟია** **და** **თორმეტი** **ქალი**. **ამ** **შკოლის** **მიხედვით** **მთელს** **გუბერნიაში** **ახლა** **თორმეტი** **ამისთანა** **შკოლა** **გაიმართა**. **მთავრობამ** **და** **საზოგადო** **კეთილ** **მოქმედებამ** **უყურადღებოთ** **არ** **დაადგა** **ეს** **სასწავლებელი**. **სახელმწიფო** **ქონებათა** **სამინისტრომ** **მისცა** **ორასი** **მანეთი** **შესაწყენელათ**. **სინოდის** **ფულიდგან** **წელიწადში** **ათას-ათასი** **მანეთი** **ეძლევა**. **ეაზანის** **წმინდა** **ბურიის** **ძმობამ** **ღარიბ** **ქალების** **გასაზრდელათ** **დაუნიშნა** **ამ** **შკოლას** **ხუთას-ხუთასი** **მანეთი** **წელიწადში**. **ჭალაქმა** **ალაგი** **მისცა** **და** **ვაჭარმა** **სტეფანე** **ბრეფეევმა** **თავის** **ხარჯით** **სახლი** **აუშენა**, **საცა** **ეხლა** **ეს** **შკოლა** **იმყოფება**. **ლიდმა** **მთავარმა** **ამ** **წელს** **გზათ** **გაიარა** **ეაზანში**, **ნახა** **ეს** **შკოლა** **და** **ას** **ორმოცდა** **ათი** **მანეთი** **მისცა** **შესაწყენელათ**.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го іюля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.